ავტომანქანების რეცხვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის სსიპ „იუსტიციის სახლის“ აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 17 ოქტომბრის №627/ს ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი **30 იანვარი 2018წ.**

სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: გივი აზაურაშვილი
კომისიის წევრები: ავთანდილ კოხრეიძე, გიორგი ბიგანიშვილი, შალვა ჯულაყიძე, ირაკლი ზარიძე
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ილია რევაზიშვილი

დღის წესრიგი: სსიპ „იუსტიციის სახლის“-ს მიერ, 2018 წლის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, **ავტომანქანების რეცხვის მომსახურების (CPV 50112300 - მანქანის რეცხვა და მსგავსი მომსახურებები)** სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის და სატენდერო განცხადების პროექტის განხილვა-დამტკიცება და კომისიაში დამხმარე სპეციალისტ(ებ)ის მოწვევის საკითხის განხილვა.

მსჯელობა:
- სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს ტექნიკური დავალების შესაბამისად სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი და სატენდერო განცხადება;
- ტენდერის გამოცხადება იგეგმება ბაზრის კვლევის შედეგად მიღებული ფასის შესაბამისად, კერძოდ: 5436,00 ლარი დღგ-ს გარეშე;
- სატენდერო კომისიის წევრების მოსაზრებით მიზანშეწონილია ზემოაღნიშნულ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის შემოთავაზება, ტენდერისთვის სტატუსის - „წინადადების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, განიხილოს სსიპ „იუსტიციის სახლის“ ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამსახურის სპეციალისტ(ებ)მა და წარმოადგინოს შესაბამისი წერილობითი დასკვნა სატენდერო კომისიაზე განსახილველად.

კენჭისყრა:
სატენდერო კომისიის წევრების მიერ ერთხმად მოწონებული იქნა სატენდერო დოკუმენტაციის და სატენდერო განცხადების პროექტი.

დაადგინეს:
1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შესახებ სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია თანდართული სახით;
2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიაში ექსპერტ(ებ)ად სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულ იქნენ სსიპ „იუსტიციის სახლის“ ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამსახურის სპეციალისტ(ებ)ი;
3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

გივი აზაურაშვილი - - - - - - - - - - - - - - - -

კომისიის წევრები:

ავთანდილ კოხრეიძე - - - - - - - - - - - - - - - -

გიორგი ბიგანიშვილი - - - - - - - - - - - - - - - -

შალვა ჯულაყიძე - - - - - - - - - - - - - - - -

ირაკლი ზარიძე - - - - - - - - - - - - - - - -

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

ილია რევაზიშვილი - - - - - - - - - - - - - - - -